# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 მაისი 2006 №101 (2723) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ზელანდია ჩვენთვის ახალია

**საქართველოს** ნაკრების ახალი სპარინგ-მეტოქე: ჩვენები 27 მაისს ახალ ზელანდიას ეთამაშებიან, თუმცა სად, ჯერ უცნობია.

გუშინ ახალი ზელანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრებთან 27 მაისის მატჩის ჩატარება უკვე გადაწყვეტილია და ამჟამად თავისუფალ სტადიონს ვეძებთო. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გერმანიაში თავისუფალი სტადიონების დეფიციტია. არადა, საქართველოსაც და ახალ ზელანდიასაც ამხანაგური მატჩის გამართვა გერმანიაში ან მის მეზობელ ქვეყანაში სურთ. ახალზელანდიელებს ამ პერიოდში ევროპული ტურნე აქვთ დაგეგმილი — ჩვენებთან შეხვედრის შემდეგ ტალინში ესტონეთს უნდა გაეჯიბრონ, 4 ივნისს კი ჟენევაში ბრაზილიას. საქართველოსთან გერმანიაში თამაში, ბუნებრივია, კუნძულელებისთვის გეოგრაფიულად უფრო მისაღებია. საქართველო კი, გეხსომებათ, 31 მაისს ავსტრიულ დორნბირნში პარაგვაის ეთამაშება და ოთხი დღით ადრე ახალ ზელანდიასთან გერმანიაში შეხვედრა ჩვენებისთვისაც კარგი ვარიანტია.

მოკლედ, საქართველო — ახალი ზელანდიის ამხანაგური მატჩის თარიღად 27 მაისი უკვე ორმხრივად შეთანხმებულია და თუ ქვეყანა არ დაიქცა, ეს შეხვედრა შედგება.

„ახალზელანდიელებთან 27 მაისს თამაშზე მართლაც შევთანხმდით, ყველა სხვა საკითხი კი საბოლოოდ ორშაბათს დაზუსტდება, ჩვენც და ისინიც ახლა სტადიონს ვეძებთ" — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ.

ცნობისთვის: საქართველოს ნაკრებს წყნაროკეანელ მეტოქესთან ჯერ არ უთამაშია, ახალი ზელანდია პირველია.

**ჰოგა ინასარიძე**

## კვიპროსი ჰო, რუსი ვერა

სოფიაში, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გუშინ ქართველ წყალბურთელებს მძიმე დღე ჰქონდათ: დილით კვიპროსის ნაკრები 24:9 გაანადგურეს, საღამოს კი რუსეთთან უპრინციპულესი ჯახი 8:10 წააგეს. „მაგარი ბრძოლა იყო, ბიჭებმა ბოლომდე იომეს. გაწევ-გამოწევაც იყო. ბიჭებს ვერ დავემდურებით, რაც შეეძლოთ, იმაზე მეტი გააკეთეს, მაგრამ რუსეთის ნაკრები სადღეისოდ ძალიან ძლიერია, თავს ზემოთ ძალა არ იყო" — გვითხრა საქართველოს წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით რურუამ, სოფიაში რომ დავუკავშირდით.

ტურნირის პირველ დღეს თურქეთის, გუშინ კი კვიპროსის დამარცხების შემდეგ ჩვენები კარგ შანსს ინარჩუნებენ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. დღეს ქართველები ბულგარეთს ხვდებიან.

## კახა კალაძე: მილანის ცენტრი ევრომედიის ყურადღების ცენტრში



საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე ზედიზედ მეორედ მოხვდა ევროპაში მოთამაშეთა თვის სიმბოლურ ნაკრებში. ამ საკმაოდ პრესტიჟულ გამოკითხვას ევროპის სპორტულ გამოცემათა ასოციაცია ატარებს და მონაწილე ათი გამოცემიდან ჩვენებურს ოთხმა მისცა ხმა.

აპრილის ევროსიმბოლური ასეთია:

იენს ლემანი („არსენალი"), კარლეს პუიოლი („ბარსელონა"), კრისი („ლიონი"), კოლო ტურე („არსენალი"), **კახა კალაძე** („მილანი"), ანდრეს ინიესტა („ბარსელონა"), კაკა („მილანი"), რონალდინიო („ბარსელონა"), დავიდ ვილია („ვალენსია"), უეინ რუნი („მანჩესტერი"), სამუელ ეტოო („ბარსელონა").

აქვე გეტყვით, რომ გამოკითხვაში მონაწილეობენ ინგლისური „უორლდ სოკერი", იტალიური „გაძეტა დელო სპორტი", გერმანული „კიკერი", ესპანური „დონ ბალონი", პორტუგალიური „ა ბოლა", ჰოლანდიური „ვოეტბალ ინტერნეიშნლი", დანიური „ტიპს ბლადეტი", თურქული „ფანატიკი", ბელგიური „ფუტ მეგეზინი" და რუსული „სპორტ-ექსპრესი".

შეგახსენებთ, რომ აქამდე ამ ორგანიზაციის ევროსიმბოლურში ქართველი ოდენ ორჯერ შეუყვანიათ: გიორგი ქინქლაძე და შოთა არველაძე.

## ფინალში ვინ უფრო ავია: აზოტი თუ თბილავია?

ნბა-მდე და ევროლიგამდე სინათლის წლები გვაშორებს, მაგრამ ჩვენი კალათბურთის კვალობაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი კი გამოვიდა წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატიცა და პლეი ოფიც. გვარიანი ინტრიგა ახლავს ფინალსაც, რომელიც 9 მაისს დაიწყება და რამდენიმე დღეში ახალ ჩემპიონს გამოავლენს. შარშანდელმა ჩემპიონმა სტუ-მ ნახევარფინალში ორი გამარჯვება აართვა „თბილავიამშენს", მეტი კი ველარ მოახერხა და გუშინ გზა დაუთმო ფინალისკენ, სადაც ავიატორებს „თსუ-ნიკორას" მძლეველი რუსთავის „აზოტი" ელით. ფინალისტთაგან არც ერთია დებიუტანტი და არც მეორე — „ავიამშენი" შარშანდელი საჩემპიონო სერიის მონაწილეა, აქამდე სამჯერ ხელმოცარულ „აზოტს" კი მეოთხედ ეძლევა რუსთავის გაბედნიერების შანსი.



# გახოკიძის შვედ-მაროკოელი მხსნელი

## თვეობით გაწამებულმა ტვენტელმა შვება იგრძნო



რამდენიმე თვეა, ჰოლანდიური „ტვენტეს“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების 28 წლის შუახაზელი გოგა გახოკიძე ტრავმებმა გააწამეს. გახოკიძის სრულად გამოჯანმრთელებას საშველი არა და არ დაადგა — გოგა ცოტათი მომჯობინდებოდა და მერე კვლავ აწუხებდა ტკივილი. თანაც ხან რა ასტკივდებოდა და ხან რა. ახლა გოგა შვედეთშია სამკურნალოდ და მას იქ შევეხმიანეთ...

— ორი კვირაა, შვედეთში ვარ, ჯერ სტოკჰოლმში ვიყავი, ახლა კი ჰალმსტადში გახლავართ. ექიმ სიმონ ბაკივისთან ვმკურნალობ, ის წარმოშობით მაროკოელია და 18 წელია, შვედეთში ცხოვრობს. ეს ექიმი ერთ-ერთმა ტვენტელმა თანაგუნდელმა მიმასწავლა. მანამდე სად არ ვიყავი და არაფერმა მიშველა. ბაკივიმ კი ყველასგან განსხვავებული თერაპია დამინიშნა, მისი მეთვალყურეობით ყოველდღე ორსაათიან პროცედურებს ვიტარებ. მითხრა, მანამდე არასწორად ვარჯიშობდი, სირბილიც არასწორი გქონდა და შენი კუნთები მზად არ იყო პროფესიონალი სპორტსმენის დატვირთვებისთვისო. ორკვირიანმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ახლა გაცილებით უკეთ ვარ.

— როგორც შევიტყვეთ, აქამდელი მკურნალობის არაეფექტურობა დიდწილად იმით იყო განპირობებული, რომ ზუსტ დიაგნოზს ვერ გისვამდნენ...

— ასეა, ვერც ერთი ექიმი ზუსტ პასუხს ვერ მეუბნებოდა იმაზე, თუ რა მჭირდა. წელის ტკივილები მაწუხებდა და მეუბნებოდნენ, დისკოზი გაქვსო. ბაკივიმ კი მითხრა, პატარა დისკოზი შესაძლოა, ყველა ადამიანს ჰქონდეს და გაუთავებელი წელის ტკივილი ამის ბრალი არ არისო. საზარდულიც მაწუხებდა, ორივე ფეხი მტკიოდა, უკანა კუნთმაც შემაწუხა და რა არ გავიკეთე, ჩინური თერაპიაც კი ჩავიტარე ნემსებით. გადამიღებდნენ სურათს და მეტყოდნენ, არაფერი ჩანს და უცნაურია, ტკივილები რატომ გაქვსო. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე.

— ბაკივიმ კიდევ რა გითხრა, რამდენ ხანში მოგარჩენო?

— მასთან რომ მივედი, მითხრა, ექვს-რვა კვირაში ასი პროცენტით გამოჯანმრთელდებიო. ბაკივი თავიდან ტრენაჟორებზე მავარჯიშებდა სპეციალური პროგრამით, ასეთი ვარჯიშები ადრე არასდროს გამიკეთებია. სირბილი კი გუშინ დავიწყე.

— ბოლოს ყველაზე უფრო რა გაწუხებდა — საზარდული, წელი თუ კუნთები?

— კუნთები. სულ მეჭიმებოდა და ვერავინ ხვდებოდა, რისი ბრალი იყო ეს. ვივარჯიშებდი, ბოლომდე დავიხარჯებოდი და ვარჯიშის ბოლოს ძუნძულით მოედანს წრეს რომ დავარტყამდი, რამდენიმე კუნთი ერთდროულად მეჭიმებოდა. ახლა იმედიანად ვარ, ბაკივი სულ თავზე მადგას.

— მკურნალობის ხარჯებს კლუბი გისტუმრებს?

— გერმანიაში ცნობილ ექიმ იოახიმ შუბერტთან რომ ვმკურნალობდი, ხარჯებს „ტვენტე“ იხდიდა. შუბერტმა არაფერი დამაკლო, რაც შეეძლო, გააკეთა, მაგრამ ვერ მიშველა. ახლა კი ჩემი ხარჯებით ვმკურნალობ. ბოლო დროს „ტვენტეში“ ისედაც ტურისტივით ვიყავი, ვერ ვთამაშობდი და ხელფასს ვილებდი, ამიტომაც ვუთხარი კლუბის ხელმძღვანელობას, შვედეთში ჩემი ფულით უნდა ვიმკურნალო-მეთქი.

— კლაუს ტოპმიოლერთან თუ გაქვს კონტაქტი?

— მას ერთი კვირის წინ ვესაუბრე ტელეფონით. მკითხა, მაისის ბოლოს ნაკრებში თამაშს თუ შეძლებო. თქმა არ უნდა, ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ ნაკრებში და საერთოდ, როდის ვითამაშებ ფეხბურთს.

— ანუ 31 მაისს პარაგვაისთან შენს თამაშს უნდა ველოდოთ?

— ბაკივიმ მითხრა, მაისის ბოლოს თამაშს არ გირჩევ, შესაძლოა, იმ დროისთვის არაფერი გაწუხებდეს, მაგრამ თამაშს მაინც მოერიდეო. შვედეთში კიდევ ათი დღე უნდა დავრჩე. ბაკივი არ მცილდება, ვარჯიშის დროს სულ უნდა გიყურო, თორემ რამე არასწორად რომ გააკეთო, ფუჭი იქნებაო.

— ეს ათი დღე, მერე დასვენება და სრულად გამოჯანმრთელდები?

— ბაკივი სპეციალურ პროგრამას შემიდგენს და კვირაში ხუთი-ექვსი დღე სულ უნდა ვაკეთო მისი ვარჯიშები, ხოლო მომავალი სეზონის დაწყებამდე ათი დღით ადრე კიდევ უნდა ჩამოვიდე შვედეთში ამ ექიმთან. დღეს 25 წუთი უკვე ვივარჯიშე და რამდენიმე საათში 45-წუთიანი ვარჯიში დამეწყება. ნელ-ნელა ვუმატებ სირბილის ხანგრძლივობას. ბაკივის ყველაფერს ვუჯერებ, ტრავმიანობამ ძალიან დამღალა...

**დავით თავართქილაძე**

# დიადორა ფორმაშია? შეფასება ქართველებზეა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და „დიადორას“ შორის მოლაპარაკებათა თბილისური ეტაპი მორიგი აღმოჩნდა და არა საბოლოო — რიკარდო მაცოლენი სამშობლოში დაბრუნდა. მხარეები კვლავაც გამოთქვამენ თანამშრომლობის სურვილსა და მზადყოფნას, თუმცა...

გადაწყდა, რომ „დიადორა“ საქართველოს ნაკრებისთვის ფორმების საცდელ პარტიას დაამზადებს. შესაძლოა ამ ფირმის ეკიპირება პირველმა ჰაინც ტოპმიოლერის 19-წლამდელთა ნაკრებმა მოირგოს, რომელსაც ორ კვირაში სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტ-რაუნდში მოუწევს თამაში. თუკი „დიადორა“ დროში ვერ ჩაეტევა, მისი ნაწარმის პირველად შეფასების პატივი ავსტრია-გერმანული შეკრებისას ეროვნული ნაკრების წევრებს ექნებათ. მოლაპარაკებასაც საბოლოოდ მხოლოდ ამის შემდეგ დაესმება წერტილი.

**გიორგი ნოზაძე**



დღეს გაირკვევა, დარჩება თუ არა უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერ კიევის „არსენალში“ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ფეხბურთელი ჯაბა კანკავა. „არსენალი“ დღეს პოლტავის „ვორსკლას“ მასპინძლობს და წარუმატებლობის შემთხვევაში უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდება, ჩვენიან ნახევარმცველს კი კლუბთან კონტრაქტი ავტომატურად გაუუქმდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა გუნდში გადასვლა შეეძლება. თუმცა კიეველებთან ჯაბა კანკავას ისეთი ხელშეკრულება აქვს, გუნდი უმაღლესშიც რომ დარჩეს, ჯაბა დეკემბერში მაინც გათავისუფლდება...

# კანკავას ამბავი ვორსკლას ამბავია

## გადაღლილის ფამალი ნდობაა

*უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ორი შეხვედრაში კი ქართველი ნახევარმცველი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში არ იყო და შესაძლოა, ვერც დღევანდელ მნიშვნელოვან მატჩში ითამაშოს...*

— ზესტაფონში, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შემდეგ კიევში ჩამოსვლა დამაგვიანდა და გუნდი მარიუპოლში, „ილიჩევეცთან“ მატჩისთვის წასული დამხვდა. ამიტომაც გამოვტოვე ეს შეხვედრა — გვითხრა გუშინ ჯაბა კანკავამ — ჩამოვიდა გუნდი და მზადებაც ჩვეულებრივ გავაგრძელე. არაფერი მაწუხებს, ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ. თუმცა შესაძლოა, ხვალაც ვერ ვითამაშო.

— გადაღლილი ხომ არ ხარ? კლუბი, ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები, თანაც სეზონის ბოლოა...

— შესაძლოა, ცოტა გადაღლილიც ვარ, მაგრამ ეგ არაფერი, სეზონს ჩავამთავრებ და მერე დავისვენებ. ბევრ თამაშს კი რა სჯობს. თანაც სასიამოვნოა, რომ გენდობიან და ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებში გიწვევენ.

— „არსენალი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირასაა. რას აპირებ, დარჩები ამ გუნდში?

— ჯერ ზუსტი პასუხი არ მაქვს. „არსენალის“ უმაღლესიდან გავარდნა-დარჩენა „ვორსკლასთან“ მატჩზეა დამოკიდებული. თუ მოვიგეთ, არ გავვარდებით და კონტრაქტის შესაბამისად, „არსენალში“ დეკემბრამდე, ანუ მომავალი ჩემპიონატის პირველი წრის ბოლომდე დავრჩები. თუ ვერ მოვიგეთ, ჩემპიონატის დასრულებისთანავე „არსენალიდან“ თავისუფალი ვიქნები.

— თავად როგორ გირჩევნია?

— არ ვიცი... თუმცა, ბუნებრივია, ჩემი გუნდის წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ და უმაღლესში დარჩენით მეც გავიხარებ.

— თქვი, „ვორსკლასთან“ შეიძლება ვერ ვითამაშოო, რატომ?

— წინა ტურში გუნდმა სტუმრად „ილიჩევეცს“ უჩემოდ მოუგო და მგონია, რომ მოგებულ შემადგენლობას მწვრთნელი არ შეცვლის.

— ორი სიტყვაც ახალგაზრდულ ნაკრებზე გვითხარი. კმაყოფილი ხარ გაახლებული გუნდით? თანაც კაპიტნის სამკლავური ჩაგაბარეს...

— შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი... ვფიქრობ, გაცილებით მეტი შეგვიძლია და იმედი მაქვს, მომავალ მატჩებში ჩვენს შესაძლებლობებს სრულად წარმოვაჩენთ. ახალი მწვრთნელების მოთხოვნებს ნელ-ნელა ვეჩვევით და ლიტვასთან და სერბეთთან შესარჩევ მატჩებს, ალბათ, მალტაზე უკეთ ვითამაშებთ. მთავარია, შესაძლებლობებში დარწმუნებულები ვართ და თამაშიდან თამაშამდე მოვუმატებთ კიდეც.

**გოგა ინასარიძე**

# ლაშა ჯაკობია: მორჩა, მეტალისტიდან მივდივარ



უკრაინის ჩემპიონატის წინა ტურში ლაშა ჯაკობიას „მეტალისტმა“ „დნიპროსთან“ მოულოდნელი ანგარიშით წააგო — 0:6. უკრაინულ პრესაში დაიწერა, ასეთი მარცხის გამო კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელების მიმართ ფინანსურ სანქციებს გეგმავსო. ჯაკობიასაც ამად დავუკავშირდით, თუმც მისგან სხვა ამბებიც შევიტყვეთ...

— უკრაინის ჩემპიონატის დასრულებას ორი ტური უკლია და ამ მატჩების მოგების შემთხვევაში პრემიებს არ დაგვირიგებენ — ეს კლუბის ხელმძღვანელობას ჩვენთვის ჯერ ოფიციალურად არ უთქვამს, მაგრამ ამის შესახებ უკვე შევიტყვეთ.

— მაინც რისი ბრალი იყო „დნიპროსთან“ ასეთი მარცხი?

— რამდენიც დაარტყეს, იმდენი გაგვიტანეს, ზოგიერთმა ჩვენმა ფეხბურთელმა კი ძალიან ცუდად ითამაშა. მე ტრავმირებული ვიყავი და მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშე. ტრავმა ახლაც მაწუხებს.

— რა ტრავმა გაქვს?

— სამი კვირის წინ ზურგის მყესი გამიწყდა და „დნიპრომდე“ ორი თამაში გამოვტოვე. დღეს დუბლებში ვითამაშე, „ზაკარპატიეს“ 3:0 მოვუგეთ და ორი გოლი გავიტანე, მაგრამ ზურგი კვლავ მტკივა, მყესის ბოლომდე შეხორცებას კიდევ ერთი კვირა დასჭირდება.

— უკრაინაში სეზონი მალე ჩამთავრდება — „მეტალისტში“ აპირებ დარჩენას?

— არა, კონტრაქტი მიმთავრდება, ორი წლით გაგრძელებას კი მთავაზობენ, მაგრამ მე არ მინდა. უფრო მაღალ დონეზე მსურს თამაში, „მეტალისტში“ უკვე ამოვწურე საკუთარი თავი. მაქვს ვარიანტები უკრაინის უკეთესი კლუბებიდან, რუსეთიდან და ევროპიდან.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55) + აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჯემ-მიქსი!

GEO *123#
ჯემ MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და მომენტალურად დაადგინეთ მიმდინარე საფეხბურთო მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

# გვეშველა



სფფ-ის პრესსამსახური

**კარგა ხანია,** ეროვნული სტადიონი საშველს ითხოვდა და, ვგონებთ, გამოჩნდა. ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რა სახეს მიიღებს საქართველოს უპირველესი სპორტული სარბიელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ. „დინამო-ინვესტი“ ირწმუნება, სექტემბრისთვის თვალი უკეთესს ვერ ნახავსო, საამისოდ კი საყოველთაო მობილიზება იქნება საჭირო...

წლების განმავლობაში თვალი ისე მიეჩვია გავერანებულ „ეროვნულს“, აღარც გვეგონა, მის აღდგენას ოდესმე საშველი თუ დაადგებოდა. ამადაც არის, ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო სიახლესაც კი მკითხველს სიამოვნებით და ერთგვარი აზარტითაც რომ ვაწვდით...

მოკლედ, აი, ასეთია „ეროვნული“ დღეს...



სფფ-ის პრესსამსახური



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სეზონის ფინალისთვის ემზადება. ჩემპიონისთვის განკუთვნილი მოოქროვილი მედლები გუშინ უკვე ხელთ ჰქონდა ლიგის გენმდივან რევაზ ლორთქიფანიძეს. დღეს დაიწყო თასის ფინალის ბილეთების და აფიშების ბეჭდვაც. თუმცა 13 მაისი მხოლოდ თასის ფინალს არ ნიშნავს...

# მოსალოდნელი ფინალი
## ჩემპიონის თასი ქუთაისში წავა

— რა ფორმით მონაწილეობს პროფლიგა „დინამოს“ გამარჯვებიდან 25 წლის იუბილეში?

— საიუბილეო ღონისძიებებში ჩვენი მონაწილეობა იმით შემოიფარგლება, რომ საქართველოს თასის ფინალის წინ დაგეგმილია მოკლე შოუ-პროგრამა, 1981 წლის თბილისის „დინამოს“ წევრები კი საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან შეხვედრას.

— რამდენი ბილეთი იბეჭდება და როდიდან გაიყიდება?

— 20 ათას ბილეთზე გავაკეთეთ შეკვეთა და ბეჭდვა ხვალიდან დაიწყება. ფასი, ტრიბუნების მიხედვით, 2 და 3 ლარი იქნება. დაიბეჭდება 200 ცალი 5-ლარიანი ბილეთიც გადახურულ ადგილებზე. ბილეთები გაყიდვაში 11 ან 12 მაისიდან იქნება „მიხეილ მესხის“ სალაროებში. „ამერის“ და „ზესტაფონის“ ქომაგებს სხვადასხვა ტრიბუნებზე განვათავსებთ. აქვე მინდა ყველა მათგანს ვთხოვო, ეს დღე ლამაზი ქომაგობითაც გავალამაზოთ.

— ფინალური მატჩისთვის უცხოელი მსაჯის მოწვევაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— ეს იდეა არ არის ცუდი და მომავალში შეიძლება ამაზე ვიფიქროთ კიდეც, მაგრამ რატომ ვიწვევთ უცხოელს? თუ იმიტომ, რომ ქართველის პატიოსნებაში ეჭვი გვეპარება, უცხოელიც შეიძლება უპატიოსნო აღმოჩნდეს. ჩემი აზრით, ქართველ მსაჯებს საკმარისი კვალიფიკაცია აქვთ ასეთი მატჩების განსასჯელად.

— როგორ და როდის დაჯილდოვდებიან თასის მფლობელი და ჩემპიონი?

— თასის ფინალის შემდგომ ცერემონია ტრადიციული იქნება. რაც შეეხება ჩემპიონს, გვინდა, იმწუთიერი ზეიმის მონაწილენი გავხდეთ, როცა რომელიმე გუნდი ჩემპიონობას ოფიციალურად გაიფორმებს. თუკი ბოლო ტურის წინ ლიდერმა სამქულიანი ფორა შეინარჩუნა, ან „სიონი“ გაჩემპიონდება, ანაც მასსა და „ვიტ ჯორჯიას“ შორის ოქროს მატჩი დაინიშნება. ბოლო ტურში ჩემპიონისთვის განკუთვნილ თასს ალბათ ქუთაისში გავგზავნით და თუ ჩემპიონი ბოლნისური კლუბი გახდა, იქვე გადავცემთ.

**გიორგი ნოზაძე**




# ბაზას ძირს უმაგრებენ

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო.

გეხსომებათ, ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ჯერ კიდევ თვეების წინ თქვა, ბაზა უვარგისია, იქ ცხოვრება და ვარჯიში წარმოუდგენელიაო და ახალი ტექნიკური ცენტრის მშენებლობაზეც ჩამოაგდო სიტყვა. ეს იდეა ჯერჯერობით იდეად რჩება, თუმცა ამასობაში რეკონსტრუქცია დაიწყო „ბასაზე“. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ დაიგება ახალი მინდვრის საფარი, გაკეთდება არასტანდარტული ქვიშისსაფარიანი მოედანი, საცხოვრებელ კორპუსს ჩაუტარდება საჰიდროიზოლაციო და სადრენაჟო სამუშაოები, დამონტაჟდება საუნა და სხვადასხვა საჭირო დანადგარები.



სფფ-ის პრესსამსახური

ზურაბ ადამია, ტექნიკური ცენტრის დირექტორი: „სამწუხაროდ, ტექნიკური ცენტრი სავალალო მდგომარეობაში დაგვხვდა, დროთა განმავლობაში კი კიდევ არაერთმა პრობლემამ იჩინა თავი. არაფრად ვარგოდა სავარჯიშო მოედანი, შენობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, არ ფუნქციონირებდა აუზი, არ იყო დამონტაჟებული საუნა. იმის გამო, რომ არ იყო ჰიდროიზოლაცია, მიწაში დაფარული შენობის კედლები სველი იყო და შენობის დანგრევის საშიშროების წინაშე ვიდექით. უკვე დაიწყო სამუშაოები და ყველა ხარვეზს მალე გამოვასწორებთ.“

შეგახსენებთ, რომ „ბასა“ 2003 წლის 24 მაისს გაიხსნა...

**კახა შალამბერიძე**

# რას ეტყვიან მწვრთნელს და ფეხბურთელებს?
## დინამო 10 მაისს იკრიბება

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, თბილისის „დინამოს“ მესამე ადგილს და ინტერტოტოს თასის საგზურს ვერავინ შეეცილება, მაგრამ არ წყდება მითქმა-მოთქმა იმაზე, გაუშვებენ თუ არა გუნდიდან რუს მთავარ მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს. ამბობენ, თუ ჩერნიშოვი დარჩება, „დინამოში“ თანამემამულე ფეხბურთელებს მოიყვანსო, იმასაც მოკრავს კაცი ყურს, შესაძლოა, კლუბის მმართველობაშიც მოხდეს ცვლილებებიო.

მითქმა-მოთქმასა და ჭორებს წერტილი ალბათ 10 მაისს, ჩემპიონატის დამთავრების მეორე დღეს დაესმება — „დინამოში“ კრებაა დანიშნული და მწვრთნელ-ფეხბურთელებს ვინძლო ყველაფერს ეტყვიან სამომავლო ზრახვებზე.

**ლუკა თალაკვაძე**

ს.კ. ლოკომოტივი
ახორციელებს
ს.კ. ბარსელონას
ტალანტების მოძიების პროგრამას
და ატარებს სელექციას
1991-1998 წლებში დაბადებულ
ბავშვებში. რეგისტრაციისათვის
გთხოვთ მობრძანდეთ 1 მაისიდან
20 მაისამდე (11-15 საათამდე)
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე,
ჭავჭავაძის გამზირი №74.
თან იქონიეთ ბავშვის დაბადების
მოწმობა, ფოტოსურათი
და მშობლების პირადობის
დამადასტურებელი მოწმობა.
საკონტაქტო ტელეფონი: 23-04-58

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე
29 ტური ანონსი

# ჩემპსიონი?

## იქნებ დღეს ახალშობილი გვეყოლოს



არის შანსი, „სიონი" — „ამერის" მატჩის შემდეგ საქართველომ ახალი ჩემპიონი შეიძინოს

ორი ტურიც და, მეჩვიდმეტე ეროვნული ხელს დაგვიქნევს. როგორიც უნდა იყოს ფინიში და ვინც უნდა გახდეს ჩემპიონი, ფაქტი ერთია — დაძაბულობა ნაღდად არ აკლია ჩვენს ჩემპიონატს, მაგრამ მარტო დაძაბულობა არაა დონის შკალა...

აი, ჩემპიონის გარკვევას კი ბოლო ტური ეგებ არც დასჭირდეს — თუ „სიონი" „ამერს" მოუგებს და „ვიტ ჯორჯია" „დილასთან" წაიფორხილებს, ჟურნალი დაიხურება. სამაგიეროდ, ევროსაგზურების მაძიებლებსა და გასავარდნ ზონაშია ლაბირინთები.

2 მაისს „სიონი" საქართველოს თასს დაემშვიდობა, სწორედ „ამერთან" წააგო და, გეხსომებათ, კახა ცხადაძემ იმ მატჩში ლიდერები, კოკა მიკუჩაძე და ლევან ხმალაძე დაასვენა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ბოლნისელებმა არ გარისკეს, ჩემპიონობას თასი შესწირეს და, ალბათ, სწორადაც მოიქცნენ — იმ თამაშამდე „სიონის" 12 ფეხბურთელს ხომ ორ-ორი ყვითელი ბარათი ჰქონდა.

გიორგი ჩიხრაძის „ამერს" სანქცირებული კაპიტანი გიორგი დავითნიძე დააკლდება, გლდანელთა მთავარი თავსატეხი კი კოკა მიკუჩაძის შეჩერება იქნება და ეს თუ მოახერხეს, ვინძლო, ქვემოქართლელებს გოლის გატანა ძალიან გაუჭირდეთ. არადა, ფავორიტი რომ ცხადაძის გუნდია და ყველა მის მოგებას ელის, თქმა რად უნდა — ალბათ, ბოლომდე შეივსება „თამაზ სტეფანია". დღეს ხომ „სიონის" ბოლო საამსეზონო საშინაო მატჩია.

ბოლნისელთა მდევარი „ვიტ ჯორჯია" თავისას მაინც ეცდება და მცხეთაში „დილას" საჯარიმოს ატალახება მოელის. ეგაა, ვიტელებს ორი წამყვანი ცენტრალური მცველი ალექსანდრე კვახაძე და დავით ლომაია აკლიათ და თუ გორელებმა შეტევაში ფხა გამოილეს, ვინ იცის...

„დილა" წკიპზეა საპლეიოფო ზონასთან და ვინძლო დარჩენილ ორ ტურში ქულაც ვერ აიღოს, რასაც კონკურენტები, ალბათ, არ აპატიებენ.

ვიტელებისა არ იყოს, „დინამოსაც" მოსაგები თამაში აქვს — შინ ფოთის „კოლხეთს" მასპინძლობს და ძალიან საეჭვოა, ბოლო ტურებში აკრეფილ ტემპს მუხრუჭი შეუნაცვლოს. სხვა საქმეა, რომ „კოლხეთიც" სახიფათო ზონაში ტრიალებს...

მორიგ საშინაო სამქულიანს ელის „ბორჯომიც", რომელიც მეხუთე ადგილზეა და წინმდგომების წაფორხილებაზეა ჩასაფრებული, რათა ინტერტოტოს საგზური მაინც ირგუნოს. ნამეტანი პროგნოზისტობა კი გამოგვდის, მაგრამ „ლოკომოტივი" კურორტზე წასაგებადაა განწირული და გაგვიკვირდება, ასე თუ არ მოხდება.

„ზესტაფონ" — „სოხუმის" ლაიტმოტივი კი ისაა, გაიტანს (და რამდენს) თუ არა ზურაბ იონანიძე — ფეროელები ცალი ფეხით გავარდნილ „სოხუმს" ეთამაშებიან, იონანიძე კი ორბურთიანი მარაგით ლიდერობს ბომბარდირთა სიას და ყულაბის შევსებას დიახაც, ეცდება.

ქვედა ზონაში არის ერთი გუნდი, რომელსაც უპირობო მოგება სჭირდება და ამას უსიკვდილოდაც გეგმავს — ქუთაისის „ტორპედო". იმერლები ზუსტად საპლეიოფო საფეხურზე დგანან, ბოლო ტურში შინ ხვდებიან „სიონს" და რადგან იმ თამაშის წაგების საკმაოდ დიდი ალბათობაა, ამიტომაც დღეს „სპარტაკთან" მაქსიმუმი უნდა აიღონ — „სპარტაკთან", რომელიც უკვე პირველლიგელია.

დაახლოებით ორი ერთნაირი რანგის თამაშია „ცხინვალი" — „ბათუმი" და „თბილისი" — „კახეთი", ორივე მასპინძელს მოგება სჭირდება, სტუმრებს კი მოტივაცია აღარ შერჩენიათ...

**ილია ნანობაშვილი**

### დისკვალიფიცირებულნი:

„კახეთი" — მიხეილ სოსელია
„დინამო" — გიორგი მერებაშვილი
„ამერი" — გიორგი დავითნიძე
„ვიტ ჯორჯია" — დავით ლომაია, ალექსანდრე კვახაძე
„ზესტაფონი" — მირზა ბჟალავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 28 | 21 | 4 | 3 | 50:17 | 67 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 20 | 4 | 4 | 51:16 | 64 |
| დინამო | 28 | 18 | 4 | 6 | 50:21 | 58 |
| ზესტაფონი | 28 | 17 | 7 | 4 | 40:20 | 58 |
| ბორჯომი | 28 | 18 | 2 | 8 | 48:24 | 56 |
| ბათუმი | 28 | 16 | 6 | 6 | 39:19 | 54 |
| ამერი | 28 | 15 | 4 | 9 | 32:21 | 49 |
| ლოკომოტივი | 28 | 10 | 4 | 14 | 38:45 | 34 |
| კახეთი | 28 | 9 | 4 | 15 | 31:43 | 31 |
| კოლხეთი | 28 | 8 | 5 | 15 | 23:31 | 29 |
| დილა | 28 | 8 | 4 | 16 | 33:43 | 28 |
| ცხინვალი | 28 | 8 | 3 | 17 | 29:56 | 27 |
| ტორპედო | 28 | 7 | 6 | 15 | 26:37 | 27 |
| თბილისი | 28 | 7 | 2 | 19 | 23:43 | 23 |
| სოხუმი | 28 | 5 | 3 | 20 | 24:60 | 18 |
| სპარტაკი | 28 | 3 | 6 | 19 | 10:52 | 15 |

ბოლნისი. 6 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია
**სიონი — ამერი**
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, ა. გუნთაძე; ა. ორდინიძე;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. შევარდენი
**სპარტაკი — ტორპედო**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ი. ურუშაძე, შ. ქუხილავა; ლ. კვარაცხელია;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ბორჯომი. 6 მაისი. 17 საათი ჯემალ ზეინკლიშვილი
**ბორჯომი — ლოკომოტივი**
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; გ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა; ხ. გაგნიძე;
დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

მცხეთა. 6 მაისი. 17 საათი. არმაზი
**ვიტ ჯორჯია — დილა**
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. გუნგენაძე, ვ. გუმბერიძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ნ. კაკულია

გორი. 6 მაისი. 17 საათი. ქართლი
**ცხინვალი — ბათუმი**
მსაჯები: დ. სანაია; ზ. ხუციშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. ნონიკაშვილი;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. ეროვნული
**დინამო — კოლხეთი**
მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე; გ. ვადაჭკორია;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. ოლიმპი
**თბილისი — კახეთი**
მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ვ. ელისაბედაშვილი;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

ზესტაფონი. 6 მაისი. 17 საათი. ცენტრალური
**ზესტაფონი — სოხუმი**
მსაჯები: კ. ჭაჭუა; ლ. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაჩეიშვილი;
დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე

დავით ყიფიანის სახელობის თასი
ფინალი
13 მაისი
სტადიონი მიხეილ მესხი
ამერი vs ზესტაფონი
www.pfl.ge
გენერალური სპონსორი
სპონსორები
მთავარი სპონსორი
ბეთსელი
i'm lovin' it
ოფიციალური სპონსორი
აიეტი
საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
ოლიმპი
music box
დასაწყისი 20:00 საათზე
ბილეთის ფასი 2,3 ლარი



## საფინალო სასტვენი

13 მაისი, „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონი, 20 საათი — „ამერი" თუ „ზესტაფონი"? ამ გუნდებიდან ერთ-ერთი პირველად აიღებს საქართველოს თასს. იქამდე ერთი კვირაა დარჩენილი, ამ მატჩის მსაჯები კი უკვე ცნობილია: მთავარი არბიტრი გიორგი ვადაჭკორიაა, ასისტენტები ლევან მიქელაძე და ზურაბ ჯვარიძე, სათადარიგო მსაჯი კი არსენ ნონიკაშვილი.

# ის, ვინც ურცხვად ჭრის და კერავს, შავზე თეთრით ვერ შეკერავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბოლო ერთი თვეა, გაზეთ „სპორტში“ რამდენჯერმე გამოითქვა ვარაუდი ფკ ამერის გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაზე. ერთხელ სულაც თანხა დასახელდა. ამის თაობაზე „სარბიელმა“ ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატარა, მაგრამ შეუძლებელი გახდა ისეთი არგუმენტების მოძიება, რომლებიც „ამერის“ ბრალეულობას დაასაბუთებდა ან ეჭვს გაამყარებდა. ჩვენი მოკვლევა ამით დასრულებულია. ქვემორე წერილს და ოფიციალურ განცხადებას კი ამერელების თხოვნით ვბეჭდავთ**

ფეხბურთის კლუბი ამერი ოთხი წლის წინ დაარსდა და მესამე სეზონს ატარებს საქართველოს ჩემპიონატში. კლუბის ოფისში ინახება ჩვენ მიერ ჩატარებული მატჩების ორასამდე კასეტა და ათასობით ფოტო. არქივში ვინახავთ ქართულ თუ უცხოურ გაზეთებსაც, რომლებშიც ოდესმე რამე დაწერილა „ამერზე“. ვინახავთ ყველაფერს, რაც „ამერთან“ არის დაკავშირებული — ეს ჩვენი ისტორიაა.

ბუნებრივია, რომ ჩვენ ყველაფერი არ მოგვწონს ამ ისტორიაში, მაგრამ ეს მაინც ჩვენი ისტორიაა.

„ამერს“ დიდი ანგარიშითაც წაუგია თამაშები, მაგრამ ჩვენ არ გადაგვიგდია ამ მატჩების კასეტები.

„ამერზე“ ბევრი რამ ჩვენთვის უსიამოვნოც დაწერილა, მაგრამ იმ გაზეთებსაც ვინახავთ.

უსიამოვნო ვახსენეთ და, განვმარტავთ: მცდარ ინფორმაციასაც ვგულისხმობთ და აშკარა ცილისწამებასაც.

ამ წლების განმავლობაში „ამერზე“ კრიტიკაც დაწერილა და მცდარი ინფორმაციაც გავრცელებულა. თუმცა ვერავინ გაიხსენებს, რომ ჩვენ საჯაროდ გამოგვეთქვას უკმაყოფილება ან ერთის, ან მეორის გამო.

გავიმეორებთ: უსიამოვნო წერილებზე არ ვახდენთ რეაგირებას არა იმიტომ, რომ არ ვკითხულობთ ან ვერ ვამჩნევთ — უბრალოდ, გვესმის, რომ ეს გარდაუვალია. გვესმის, რომ შეცდომის დაშვება ადამიანური თვისებაა და თუ ადამიანი ცდება, არ ვთვლით, რომ ამის გამო განსაკუთრებული ხმაური უნდა ავტეხოთ. ჩვენს სფეროში კი შესაძლოა, ჟურნალისტი ისევე შეცდეს, როგორც ცდებიან ფეხბურთელი და მსაჯი.

შეცდომაც რომ არა, ბუნებრივია, ყველა ვერ იქნება შენი ქომაგი და ყველას არ მოეწონება შენი თამაში. ყველას აქვს საკუთარი თვალთახედვის ქონის უფლება. ამაში უცნაური არაფერია.

მაგრამ ჩვენ არ გავჩუმდებით, როცა ცილს გვწამებენ და მით უფრო მაშინ, როცა ცილს არა უნებლიეთ, მცდარად გამოტანილი დასკვნების გამო გვწამებენ, არამედ, როცა აშკარად ჩანს — ამას მიზანმიმართული კამპანიის სახე აქვს.

საქმის არსს მოკლედ შეგახსენებთ. გაზეთ „სპორტის“ ჟურნალისტი კონსტანტინე გოგიშვილი მკითხველს ამცნობს, რომ საქართველოს თასის მეოთხედფინალში ფოთის „კოლხეთისა“ და „ამერის“ მატჩის კეთილსინდისიერად ჩატარებაში ეჭვი შეიტანეს და გარიგება 50 ათას ლარად თუ 20 ათას დოლარად დააფასეს.

იმავე გაზეთში იმავე ავტორმა დაწერა, რომ თურმე „ამერმა“ საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრა „ვიტ ჯორჯიასთან“ შეგნებულად დათმო.

რამდენიმე დღის წინ კი ისევ იმ გაზეთში სხვა ჟურნალისტმა დაწერა, რომ საქართველოს თასის ნახევარფინალურ მატჩში „ამერს“ ბოლნისის „სიონი“ მოუქრთამავს და რომ ბოლნისელებს თავიანთი მეკარე ბობლიაშვილისთვის წილი არ მიუციათ და ამიტომ მან ამერელთა დარტყმული რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. ხოლო დავით სევასტოპულოს გამარჯვების გოლისას გულშემატკივრები გულიანად იცინოდნენ, რაკი ამ გოლის სიალალისა არ სჯეროდათ.

გულახდილად ვიტყვით: ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენს უკვე შეძენილ გულშემატკივრებს, რომლებიც მუდამ ავსებენ „ამერის“ სტადიონის ტრიბუნას, ამ ცილისწამებისა არ სჯერათ. იმედი გვაქვს, რომ ფეხბურთის სხვა მოყვარულებიც დაინახავენ ამ ბრალდებებში შავზე თეთრით ნაკერს, მაგრამ ისიც გვესმის, რომ უთუოდ მოიძებნებიან ადამიანები, თუნდაც რომ არ გაიკვირვებენ „ამერის“ მხრიდან ამგვარ გარიგებებში მონაწილეობის ალბათობას.

ეს წერილიც ამ ადამიანებისთვის, ჩვენი პოტენციური გულშემატკივრებისთვის იწერება და არა იმ ჟურნალისტებისთვის: ჩვენს გულწრფელობაში „ბრალმდებელთა“ დარწმუნებას რომ შევეცადოთ, სულ მცირე, მათი წესიერებისა უნდა გვჯეროდეს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ სარბიელელმა ჟურნალისტებმა „ამერის“ პრეზიდენტის და იმავდროულად „სარბიელის“ გამომცემლის ზურაბ ფოცხვერიას მოთხოვნით, ბრალდებების მართებულობა შეისწავლეს.

მოდით, ესეც ვთქვათ: ვინმე აუცილებლად იტყვის, რომ, როცა მომკვლევს და ბრალდებულს ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავს, მოკვლევა ობიექტური ვერ იქნებაო.

ეს რომ არ მომხდარიყო, „სარბიელმა“ გამოაცხადა, რომ დაბეჭდავდა არაანონიმ პიროვნებათა ნებისმიერ არგუმენტს, რომელიც „ამერის“ ბრალეულობას დაადასტურებდა. კარგა ხანი გავიდა და არც ერთი ამგვარი არგუმენტი არავის წარმოუდგენია. სხვათა შორის, არც ბრალდების ავტორ ჟურნალისტს.

თავად ამერელებმაც მივმართეთ თხოვნით ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტებს, გამოეძიათ ჩვენ მიმართ გამოთქმული ბრალდებების მართებულობა...

„სარბიელის“ მოკვლევას მივუბრუნდებით, რომლის დროსაც რამდენიმე საინტერესო რამ გაირკვა.

კერძოდ: ბრალდების ავტორმა, რომელიც თავის სტატიაში წერდა, ამბობენ, „ამერმა“ „კოლხეთს“ 50 ათასი ლარი გადაუხადაო, „სარბიელის“ ჟურნალისტის კითხვაზე მატჩის გარიგებული სცენარით წარმართვა უარყო. მან „სარბიელს“ უთხრა, რომ მისი ინფორმაციით, „ამერმა“ ფოთელებს ფული კი შესთავაზა, მაგრამ „კოლხეთმა“ შეთავაზება უარყო. ისმის კითხვა: როგორღა იყო მატჩი გარიგებული, თუ „კოლხეთმა“ ფულის აღება იუარა?! ალბათ ასე: ფოთელებმა ამერელებს უთხრეს, რა საჭიროა 50 ათასის მოცემა, ისე დაგითმობთ თამაშსო.

დავძინოთ: იმ მატჩზე ამ ბრალდების ავტორი საერთოდ არ ყოფილა და ეს ამბავი მოგვიანებით ფოთის ქუჩებში სეირნობისას გამვლელებისგან გაუგია.

სამაგიეროდ, ბრალმდებელი სხვა მატჩს ესწრებოდა. „ვიტ ჯორჯია“ — „ამერზე“ მოგახსენებთ. ამ მატჩის კონსტანტინე გოგიშვილისეულ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „ერთადერთი, რამაც მცხეთური მატჩი გააფუჭა, მინდვრის სავალალო მდგომარეობა იყო...

...ცოცხალი, ხისტი და მოვლენებით დახუნძლული თამაში გამოვიდა. უპირატესობას ძირითადად „ვიტ ჯორჯია“ ფლობდა, თუმცა სიმწვავე არც ამერელთა კომბინაციებს აკლდა და საბოლოო ჯამში, მაყურებელს მთელი შეხვედრის განმავლობაში არ მოუწყენია...

...იმედაშვილმა თავისი გუნდის ლამაზ გამარჯვებასაც წერტილი დაუსვა. ამის შემდეგ, კარგა ნახევარი საათი კიდევ იომეს მეტოქეებმა.“

მკითხველს ვთხოვთ, ამ აღწერის მიხედვით წარმოიდგინოს, როგორი თამაში გამართულა მცხეთაში, ახლა კი ვნახოთ, რა ეჭვს გამოთქვამს იგივე ჟურნალისტი ოთხი დღის მერე: „ამერი“ „ვიტ ჯორჯიასთან“ „დაწვა“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

გვსურს, თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზეც შევაჩეროთ. დაგვეთანხმებით, რომ გარიგებაში მონაწილეობის მისაღებად, სულ მცირე, ორი მხარის არსებობაა საჭირო. ანუ, თუ „ამერმა“ თამაში იყიდა, ესე იგი, ვიღაცას თამაში გაუყიდია. ხოლო თუ „ამერმა“ თამაში გაყიდა, მყიდველი გუნდიც აუცილებლად უნდა არსებობდეს.

გაზეთ „სპორტში“ დაბეჭდილ წერილებში „ამერი“ სამი თამაშის გარიგებაში დაადანაშაულეს. ლოგიკურად, ამ წერილების ავტორებს სხვა სამი გუნდიც უნდა დაედანაშაულებინათ გარიგებაში, მაგრამ ლოგიკას მათ ნაწერებში ძებნას ნუ დაუწყებთ — ყველა ცოდვაში ისინი მხოლოდ და მხოლოდ „ამერს“ ადანაშაულებენ. ეს კი, ვფიქრობთ, გასაგებს უნდა ხდიდეს, რომ გარიგებასთან ბრძოლის ეგიდით ჩვენი ავისმსურველები „ამერის“ ღირსების შესალახ კამპანიას აწარმოებენ.

მეგობრები გვეუბნებიან, რომ ცილისმწამებლებს უნდა ვუჩივლოთ.

იძლევა თუ არა აღნიშნული ბრალდებები ცილისწამებისთვის ჩივილის საბაბს, „სარბიელიც“ დაინტერესდა და ცნობილ ადვოკატ გოჩა სვანიძეს დაეკითხა. აღმოჩნდა, რომ ბრალმდებლებს ისე აქვთ ფორმულირებული ბრალდებები, რომ ცილისწამებისთვის ჩივილის იურიდიულად გამართლებულ მიზეზს არ იძლევიან. ვაღიარებთ, რომ კანონმდებლობის სათანადო მუხლები მათ ძალიან კარგად აქვთ შესწავლილი.

საქმე ის არის, რომ „ამერი“ არც ერთ სტატიაში არ არის დადანაშაულებული უშუალოდ ჟურნალისტების მიერ. „სპორტის“ ჟურნალისტები წერენ: ხალხი ამბობს, რომ... და ამის მერე ცილისწამების ნიაღვარი მოედინება.

თურმე ნებისმიერი რამ შეგიძლია დაწერო და დააბრალო ადამიანს, თუ იქვე იტყვი, რომ ქუჩაში ვიღაც ლაპარაკობდა და ეს ამბავი მისგან გაიგე. სამწუხაროდ, კანონი არ გთხოვთ ინფორმაციის მიღების წყაროს დასახელებას, საკმარისია, დაწეროთ, რომ ხალხი ამბობს ასე და რომ თქვენ კი არ ამტკიცებთ, არამედ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამთ. დაე, დადანაშაულებულმა ამტკიცოს მერე თავისი უდანაშაულობა.

ჰოდა, წერენ კიდეც. დაგვეთანხმებით, ძალიან იოლია ასე წერა.

— ამა და ამ ჟურნალისტს 100 დოლარს უხდიან „ამერზე“ დაწერილ ყოველ ცილისწამებაში;

— ესა და ეს ჟურნალისტი ტკბილად მოიხსენიებს ამა და ამ მწვრთნელს მას მერე, რაც მწვრთნელმა ის მწვადზე დაპატიჟა და ასე შემდეგ...

ასე შეგვიძლია დავწეროთ ნებისმიერზე, ოღონდ იქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ლაპარაკი ავტობუსში, მეტროში ან სოფლის ბირჟაზე მოვისმინეთ. ხოლო ეფექტისთვის სჯობს, 100 დოლარის ნაცვლად 100 ათასი ვთქვათ — თუ ტყუილია, ტყუილი იყოს...

ისიც ვთქვათ, რომ კაცმა ბევრი რამ შეიძლება გაიგოს. ნუ გამოვრიცხავთ, რომ სადღაც, რომელიმე სტადიონზე „ამერზე“ მართლა თქვა აუგი ვინმემ. მაგრამ უზნეობაა, ჟურნალისტმა ქუჩაში თუ სტადიონზე ყურმოკრული გადაუმოწმებლად გაზეთში წეროს. უფრო დიდი უზნეობა კი ის არის, თავად მოიგონოს ჭორები და მერე ხალხს „დააბრალოს“.

მაგალითი გნებავთ?

„ამერი“ — „სიონის“ სათასო მატჩისას ერთ-ერთ ეპიზოდში სულიკო დავითაშვილის დარტყმული მეკარე ბობლიაშვილმა მოიგერია. „სპორტიდან“ იმ მატჩის მიმომხილველი პაატა თოთაძე ამ ეპიზოდის აღწერისას წერს:

„ — ეგ ბიჭი მე მგონი მარტო აპირებს თამაშის მოგებას — ისმის ქვედა რიგებიდან.

— ეტყობა, წინ [illegible] არ შეუყვანეს — ხარხარებს ვიღაც იქვე.“

„სპორტის“ ჟურნალისტი ქვედა რიგებიდან გულშემატკივართა ამ დიალოგს სულ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოისმენდა: „ამერის“ სტადიონზე ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ადგილი უშუალოდ ემიჯნება მოედანს და მის წინ გულშემატკივართათვის რიგები არ არის! ვისაც არ სჯერა, მობრძანდეს სტადიონზე და შეამოწმოს. ჟურნალისტების წინ ჩვენს სტადიონზე მხოლოდ მატჩის დელეგატი, დამკვირვებელი, მეოთხე მსაჯი და უსაფრთხოების თანამშრომელი სხედან.

იმ მატჩის მიმოხილვა კი ამგვარი დიალოგებით უხვად არის გაჯერებული.

ჟურნალისტი მეტი დამაჯერებლობისთვის იმასაც არ ივიწყებს, „სიონს“ ერთბაშად რვა ფეხბურთელი აკლდაო, ხოლო „ამერს“ ტრავმების და ავადმყოფობის გამო ექვსი მოთამაშე რომ აკლდა (ნადირაშვილი, კედელაშვილი, სილაგავა, ჩიკვილაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე), დასაწერად საჭიროდ არ თვლის. ანდა რატომ უნდა დაწეროს ის, რაც მისი თეორიის გამყარებას არ წაადგება?!

და კიდევ ერთი ციტატა იმავე მიმოხილვიდან: „ბოლნისელების „მოგერიებულ“ ბურთს სევასტოპულო ეუფლება, მეკარესთან პირისპირაა და 1:0. სტადიონის დიდი ნაწილი გახარებული ტაშს უკრავს, ნაწილი კი სიცილით სკდება.“

პირადად ვადასტურებ, რომ სევასტოპულოს გოლისას ჩემ გვერდით მდგომი ადამიანი მართლაც სიცილით გასკდა. ვადასტურებ იმასაც, რომ ეს თავად მიმოხილვის ავტორი იყო. ხოლო რატომ მოიხსენიებს საკუთარ თავს გულშემატკივართა ნაწილად, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

ამ სამი წლის მანძილზე, რაც „ამერი“ საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, ჩვენზე ტყუილიც მოგვისმენია და ცილისწამებაც. გაგვცინებია კიდეც და გვწყენია. თან გაგვხარებია — რაც მეტს აქტიურობენ ავისმოსურნენი, ესე იგი, უკეთ მიდის ჩვენი საქმეები.

**გიორგი დარჯანია**
ფკ ამერის
პრესსამსახურის უფროსი

## ფკ ამერის განცხადება

ბოლო დროს გაზეთ „სპორტში“ გახშირდა ფკ ამერის ღირსების შემლახველი წერილები, რამაც ცილისმწამებლური კამპანიის სახე მიიღო. ასეთი ურთიერთობა, სამწუხაროდ, უპერსპექტივოა.

იურისტთა განმარტებით, არსებული კანონმდებლობა საშუალებას არ გვაძლევს, სამართლებრივი პასუხი მოვთხოვოთ გაზეთს ან კონკრეტულ ავტორებს.

ფკ ამერი იძულებულია, გაზეთ „სპორტთან“ ურთიერთობა მოაქციოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებით გათვალისწინებულ ჩარჩოებში და უარი თქვას თანამშრომლობის ნებისმიერ სხვა ფორმაზე. ასეთ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ.

# ახლა სტივის დროა?!
## მაკლარენი კითხვა-ძახილის ნიშნების წინეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ხუთშაბათს შუადღეს ასობით ჟურნალისტისა და ტელეკამერის წინაშე ლონდონის სოჰო სკვერზე მანქანიდან გადმოვიდა „მიდლსბროს“ ან უკვე ყოფილი მენეჯერი სტივ მაკლარენი, რომელსაც ფეხბურთის ასოციაციამ ინგლისის ნაკრების ყველა კლიტენი გადასცა*

**მაკლარენი** მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შეუდგება საქმეს.

45 წლის მწვრთნელი ლონდონში თავისი სახლიდან, კლივლენდის შტატიდან ჩამოფრინდა, სადაც მოკლე ხნით იყო წასული.

მაკლარენი ასოციაციის საბჭოს სხდომას დაესწრო და მენეჯერიც შეიქნა.

ამით საბოლოოდ დამთავრდა სამთვიანი კომედია, ნაკრების ახალი მწვრთნელის კანდიდატურათა შერჩევის უცნაურ მეთოდს რომ ახლდა. ამ კომედიის ბოლო აკორდი ლუიშ ფელიპე სკოლარის უარი იყო, რომელმაც ინგლისური სიტყვის თავისუფლება ვერ აიტანა და წელიწადში 6 მილიონ გირვანქაზე თქვა უარი.

მაკლარენი განუზომლად ცოტას, 2,5 მილიონს მიიღებს წელიწადში და ნაკრების სათავეში 2010 წლამდე იქნება. მისი ყოფილი გუნდი, „მიდლსბრო“ კომპენსაციის სახით ასოციაციისგან 1,75 მილიონით შეივსებს ჯიბეს. სხვათა შორის, ამდენივე იყო სტივის წლიური შემოსავალი რივერსაიდულ კლუბში.

მაკალერნი ახლაც მუშაობს ნაკრებში, ის სვენ გორან ერიკსონის ასისტენტია, თავად მას კი, სავარაუდოდ, ორი ასისტენტი ეყოლება, „მანჩესტერ სიტის“ მენეჯერი სტიუარტ პირსი და ალან კერბიშლი, რომელიც ამ კვირის ბოლოს საბოლოოდ გამოეთხოვება „ჩარლტონს“.

ერიკსონი უმალვე მიესალმა დანიშვნას და თქვა, რომ მაკლარენი საუკეთესო არჩევანია, რადგან საუცხოო მწვრთნელია: „ის ყოველთვის კარგი მწვრთნელი იყო. მეორე მწვრთნელობაში ნამდვილი დიდოსტატი გახლდათ, მენეჯერობაშიც ხედავთ, რასაც აკეთებს და საერთოდ, ის ძალიან ჭკვიანი კაცია.“

მაკალერნის კარიერა უბრალოა: „ჰალის“, „დერბის“ „ბრისტოლისა“ და „ოქსფორდის“ ფეხბურთელობის შემდეგ ტრავმებით ტანჯული ოცდაათი წლისა გახდა კოუჩი (მენეჯერამდელი თანამდებობა, მინდვრის უფროსი, ვარჯიშების წარმმართველი და ა.შ.) „ოქსფორდში“. იქიდან „დერბიში“ გადაინაცვლა იგივე თანამდებობაზე, საიდანაც 1999 წლის ზამთარში ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერში“ წაიყვანა მარჯვენა ხელად, ბრაიან კიდის სანაცვლოდ, სამ თვეში „მანჩესტერმა“ თავისი განთქმული „ტრიპლი“ აასრულა. ხალხი კი დღემდე ამბობს, რომ მაკლარენის წამოსვლამ კლუბის სავარჯიშო პროცესს ის ჯადო დაუკარგა, ამ კაცს რომ ახლავს თან.



ის იყო კაცი არსაიდან და ფეხბურთელების პატივისცემა მოიპოვა. მხოლოდ მინდორზე სასტვენით სიარული არ კმარა იმისთვის, რომ, ვთქვათ, რაიან გიგზის პატივისცემა მოიპოვო. გიგზი კი ამბობს: „მაგარი კაცია, სულ სიახლეს ეძებს, მეგობრადაც საუცხოოა. ერთხელ მელბურნში ბარში ჩხუბი მოგვიხდა. არ ვიცი, საიდან გაჩნდა იქ, მანქანაში ჩამსვა და იქაურობას გამარიდა.“

როი კინი კი აცხადებს: „მე მას პატივს ვცემ. ორი ერთნაირი ვარჯიში არ მახსოვს მაგის ხელში. დღეს და ღამეს ასწორებდა.“

ჭკვიანი მაკლარენი კი იმთავითვე მიხვდა, რომ „მანჩესტერში“ მთავარ კაცთან კარგად უნდა ყოფილიყო: თუ როი გენდობა, გუნდი გენდობა. როის სიტყვა კანონია. ასე იყო იმ დროს, მაგრამ მერე სტივმა „მიდლსბროს“ მენეჯერობის შემოთავაზება მიიღო და წავიდა.

ვიცოდი, რომ მენეჯერობას გაქაჩავდა, თქვა ფერგიმ.

მაკლარენის „ბორო“ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, მოგების ტრადიციის გარეშე მოქმედი გუნდია, თუმცა თავმჯდომარე გიბსონი ამბობს, რომ ხალხმა სანახევროდაც ვერ დაინახა, რა გააკეთა სტივმა ამ გუნდში. უეფას თასის ფინალში გასვლა „მიდლსბროს“ ტრადიციის გუნდისთვის სრულიად წარმოუდგენელია. ოღონდაც, თუ უეფას თასის დრამატულ მატჩებს არ ჩავთვლით, „ბორო“ რაღაცნაირად ცივ და გაზომილ ფეხბურთს თამაშობს. კლუბმა წლეულს 0:7 წააგო „არსენალთან“ და 0:4 „ვილასთან“, ამ მატჩების შემდეგ კი მინდორზე ერთი ფანი გადმოხტა და მაკლარენს წლიური აბონემენტი ესროლა სახეში.

თუმცა სტივი ამბობს, რომ მისი ფეხბურთი შეტევაა: თუ მოიგებ, კარგია. თუ ლამაზად, უკეთესი.

მან ფეხბურთელების მართვაც იცის, ვარსკვლავებთან ურთიერთობაც გამოსდის. მოდი და ელაპარაკე მარკ ვიდუკას, ჯიმი ჰასელბაინკისა და როი კინის მსგავს ახირებულ ბიჭებს, მილიონერებს, რომლებიც თავისი ხასიათის გარდა ბევრს არაფერს დაგიდევენ.

თუმცა ზოგიერთს სტივი არ უყვარს, მედიდური და ამპარტავანიაო. პრემიერლიგის ერთმა მენეჯერმა თქვა: რისთვის ამხელა სახელი და თანამდებობა? რას მიაღწია კარიერაში? ეს საოცარი ქვეყანაა, სახელი გაიკეთო იმით, რომ ორი წელიწადი ალექს ფერგიუსონის გვერდით იდექი და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდი.

ეს მაინც უსამართლო ნათქვამია. სტივი კარგი მწვრთნელია. ოღონდ ძნელი სათქმელია, ინგლისს კარგი მწვრთნელი უნდოდა თუ სრულიად გადასარევი?!

ვნახოთ, ჯერ ინგლისის სხვა ამბავი აქვს გასავლელი მაკლარენიც იქ იქნება

უეინ რუნი კი დღეიდან განსაკუთრებულ, ჟანგბადის ოთახში გაატარებს დღეში რამდენიმე საათს. ეს ოთახი ძვალთა სწრაფ შეხორცებას უწყობს ხელს.

თუმცა ხვალის იქით, ვარჯიშია, მერე ფეხბურთი, მერე მსოფლიოს ჩემპიონატი, მერე რონალდინიო და ეს ისეთი შეჯიბრი გახლავთ, ფეხმტკივან ხალხს რომ არ სწყალობს.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

# ინგლისი
# ორი რამ

**პრემიერლიგაში** გასარკვევი ფაქტობრივად ორი რამეღა დარჩა — ვინ გავა მეორე და მეოთხე ადგილზე. „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩარლტონს“ მასპინძლობს და წესით, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. მით უმეტეს, მეტოქეს ეს თამაში არაფერს უწყვეტს, მაგრამ... „ოლდ ტრეფორდის“ ბინადრებს არ ეყოლებათ გუნდის ლიდერი უეინ რუნი. თანაც „ჩარლტონის“ მწვრთნელ ალან კერბიშლისთვის ეს ამ პოსტზე ბოლო მატჩია და, სავარაუდოდ, სურს, ქომაგებს თავი კარგად დაამახსოვროს. კერბიშლიმ მართლაც დიდი შრომა გასწია, რითაც ერთი პატარა და ღარიბი კლუბი პრემიერლიგის ღირსეულ წევრად აქცია.

„ლივერპული“ „პორტსმუთის“ დამარცხებას შეეცდება და „ჩარლტონის“ იმედად იქნება. რაფაელ ბენიტესის გუნდს დიდი ანგარიშით მოგება უნდა, რადგან შესაძლოა, საქმე ბურთების სხვაობაზეც მიდგეს.

მეოთხე ადგილისთვის მებრძოლ „ტოტენჰემს“ თუ არ უნდა, რომ მთელი სეზონის შრომა წყალში ჩაყაროს, ლონდონურ დერბიში უნდა სძლიოს „ვესტ ჰემს“. სწორედ ამ მატჩში წყდება დედაქალაქური კლუბის, „არსენალის“ ბედიც. თუ „მამლებმა“ „აპტონ პარკზე“ წაიფორხალეს, ხოლო „მეთოფეებმა“ „ჰაიბერიზე“ ბოლო თამაშში მოუგეს „უიგანს“, არსენ ვენგერის გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს გაინაღდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში „არსენალს“ ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ გამარჯვება დასჭირდება მომდევნო სეზონშიც ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში სათამაშოდ, რაც ავტომატურად ოფსაიდში დატოვებს „ტოტენჰემს“.

„სამწუხაროდ, რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს. მესმის, რომ ჩვენ ქომაგებს სურთ, „ტოტენჰემთან“ მატჩში ბოლომდე დავიხარჯოთ, მაგრამ მალე „ლივერპულთან“ თასის ფინალი გველის და წამყვანი მოთამაშეებით გარისკვა მართებულად არ მიმაჩნია“ — თქვა „ვესტ ჰემის“ თავკაცმა ალან პერდიუმ.

„ვესტ ჰემის“ ხუთ ძირითად მოთამაშეს — დინ ეშტონს, იოსი ბენაიუნს, მეტიუ ეტერინგტონის, ენტონ ფერდინანდსა და ჯეიმს კოლინზს მცირე ტრავმები აწუხებთ. სათუოა „ტოტენჰმის“ სამი ლიდერის — რობი კინის, პოლ სტალტერისა და მაიკლ კარიკის თამაშიც.

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| არსენალი | : | უიგანი |
| ასტონ ვილა | : | სანდერლენდი |
| ბლექბერნი | : | სიტი |
| ბოლტონი | : | ბირმინგემი |
| ევერტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ფულემი | : | მიდლსბრო |
| მანჩესტერი | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ჩელსი |
| პორტსმუთი | : | ლივერპული |
| ვესტ ჰემი | : | ტოტენჰემი |

ვთქვათ ისიც, რომ პრემიერლიგაში „მიდლსბროს“ მთავარი მწვრთნელის რანგში „ფულემთან“ ბოლო მატჩს ატარებს სტივ მაკლარენი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ინგლისის ნაკრების თავკაცი გახდება. ბოლოს იგი რივერსაიდელებს 10 მაისს უეფას თასის ფინალში „სევილიასთან“ უთავკაცებს.

**გიორგი ქაქაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 3:0 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 4:2 | 3:0 | 5:1 | 4:2 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 3:2 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 37 | 29 | 4 | 4 | 72:22 | 91 | 18 | 1 | 0 | 47:10 | 55 | 11 | 3 | 4 | 25:12 | 36 |
| 2 | მანჩესტერი | 1:0 | | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 2:0 | 4:1 | 1:0 | 4:0 | 1:1 | | 0:0 | 4:2 | 1:1 | 1:0 | 3:0 | 3:0 | 3:0 | 0:0 | 37 | 24 | 8 | 5 | 68:34 | 80 | 12 | 5 | 1 | 33:8 | 41 | 12 | 3 | 4 | 35:26 | 39 |
| 3 | ლივერპულიი | 1:4 | 0:0 | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 3:0 | 3:1 | 0:0 | 2:0 | 5:1 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 37 | 24 | 7 | 6 | 54:24 | 79 | 15 | 3 | 1 | 32:8 | 48 | 9 | 4 | 5 | 22:16 | 31 |
| 4 | ტოტენჰემი | 0:2 | 1:2 | 0:0 | | 1:1 | 3:2 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 2:0 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 2:1 | 3:2 | 37 | 18 | 11 | 8 | 52:36 | 65 | 12 | 5 | 2 | 31:16 | 41 | 6 | 6 | 6 | 21:20 | 24 |
| 5 | არსენალი | 0:2 | 0:0 | 2:1 | 1:1 | | 3:0 | 2:0 | 1:1 | 2:3 | | 2:0 | 3:0 | 7:0 | 4:1 | 1:0 | 5:0 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 37 | 19 | 7 | 11 | 64:29 | 64 | 13 | 3 | 2 | 44:11 | 42 | 6 | 4 | 9 | 20:18 | 22 |
| 6 | ბლექბერნი | 1:0 | 4:3 | 0:1 | 0:0 | 1:0 | | 0:3 | 0:0 | 3:2 | 1:1 | 0:2 | 4:1 | 3:2 | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 37 | 18 | 6 | 13 | 49:42 | 60 | 12 | 3 | 3 | 29:17 | 39 | 6 | 3 | 10 | 20:25 | 21 |
| 7 | ნიუკასლი | | 0:2 | 1:3 | 3:1 | 1:0 | 0:1 | | 3:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 3:0 | 3:2 | 37 | 16 | 7 | 14 | 46:42 | 55 | 10 | 5 | 3 | 27:15 | 35 | 6 | 2 | 11 | 19:27 | 20 |
| 8 | ბოლტონი | 0:2 | 1:2 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 2:0 | | 4:1 | 1:1 | 0:1 | 4:1 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | | 2:0 | 2:0 | 37 | 14 | 11 | 12 | 48:41 | 53 | 10 | 5 | 3 | 28:13 | 35 | 4 | 6 | 9 | 20:28 | 18 |
| 9 | ვესტ ჰემი | 1:3 | 1:2 | 1:2 | | 0:0 | 3:1 | 2:4 | 1:2 | | 0:2 | 2:2 | 0:0 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 2:4 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 37 | 15 | 7 | 15 | 51:54 | 52 | 8 | 3 | 7 | 28:24 | 27 | 7 | 4 | 8 | 23:30 | 25 |
| 10 | უიგანი | 0:1 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 2:3 | 0:3 | 1:0 | 2:1 | 1:2 | | 1:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 4:3 | 3:2 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 37 | 15 | 6 | 16 | 43:48 | 51 | 7 | 3 | 9 | 24:26 | 24 | 8 | 3 | 7 | 19:22 | 27 |
| 11 | ევერტონი | 1:1 | 0:2 | 1:3 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 0:4 | 1:2 | 0:1 | | 3:1 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 4:1 | 0:1 | 0:0 | | 2:2 | 37 | 14 | 7 | 16 | 32:47 | 49 | 8 | 3 | 7 | 20:20 | 27 | 6 | 4 | 9 | 12:27 | 22 |
| 12 | ჩარლტონი | 0:2 | 1:3 | 2:0 | 2:3 | 0:1 | 0:2 | 3:1 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | | 2:1 | 1:1 | 2:5 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 0:0 | 2:0 | 37 | 13 | 8 | 16 | 41:51 | 47 | 8 | 4 | 7 | 22:21 | 28 | 5 | 4 | 9 | 19:30 | 19 |
| 13 | მიდლსბრო | 3:0 | 4:1 | 0:0 | 3:3 | 2:1 | 0:2 | 1:2 | 4:3 | 2:0 | 2:3 | 0:1 | 0:3 | | 3:2 | 0:0 | 0:4 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 0:2 | 37 | 12 | 9 | 16 | 48:57 | 45 | 7 | 5 | 7 | 28:30 | 26 | 5 | 4 | 9 | 20:27 | 19 |
| 14 | ფულემი | 1:0 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 0:4 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 1:0 | 2:1 | | | 2:1 | 3:3 | 1:3 | 0:0 | 6:1 | 2:1 | 37 | 13 | 6 | 18 | 47:58 | 45 | 12 | 2 | 4 | 30:21 | 38 | 1 | 4 | 14 | 17:37 | 7 |
| 15 | სიტი | 0:1 | 3:1 | 0:1 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 3:0 | 0:1 | 2:1 | 0:1 | 2:0 | 3:2 | 0:1 | 1:2 | | 3:1 | 2:1 | 4:1 | 0:0 | 2:1 | 37 | 13 | 4 | 20 | 43:46 | 43 | 9 | 2 | 8 | 26:20 | 29 | 4 | 2 | 12 | 17:26 | 14 |
| 16 | ასტონ ვილა | 1:1 | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 1:2 | 0:2 | 4:0 | 1:0 | 2:3 | 0:0 | 0:1 | | 1:0 | 3:1 | 0:0 | | 37 | 9 | 12 | 16 | 40:54 | 39 | 5 | 6 | 7 | 18:19 | 21 | 4 | 6 | 9 | 22:35 | 18 |
| 17 | პორტსმუთი | 0:2 | 1:3 | | 0:2 | 1:1 | 2:2 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | | 1:1 | 1:0 | 2:1 | 37 | 10 | 8 | 19 | 36:59 | 38 | 5 | 7 | 6 | 16:21 | 22 | 5 | 1 | 13 | 20:38 | 16 |
| 18 | ბირმინგემი | 0:0 | 2:2 | 2:2 | 0:2 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 0:1 | 0:3 | 1:0 | 1:2 | 0:1 | 5:0 | | 1:1 | 1:0 | 37 | 8 | 10 | 19 | 28:49 | 34 | 6 | 5 | 8 | 19:20 | 23 | 2 | 5 | 11 | 9:29 | 11 |
| 19 | ვესტ ბრომვიჩი | 1:2 | 1:2 | 0:2 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 0:3 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 4:0 | 1:2 | 0:2 | 0:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 2:3 | | 0:1 | 37 | 7 | 8 | 22 | 29:56 | 29 | 6 | 2 | 11 | 21:24 | 20 | 1 | 6 | 11 | 8:32 | 9 |
| 20 | სანდერლენდი | 1:2 | 1:3 | 0:2 | 1:1 | 0:3 | 0:1 | 1:4 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:3 | 0:3 | 2:1 | 1:2 | 1:3 | 1:4 | 0:1 | 1:1 | | 37 | 3 | 6 | 28 | 25:67 | 15 | 1 | 4 | 14 | 12:37 | 7 | 2 | 2 | 14 | 13:30 | 8 |

# მოჯი და მსაჯი



პიერლუიჯი პაირეტო

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაცია გამოძიებას აგრძელებს. საქმე ეხება „იუვენტუსის“ გენერალურ დირექტორ ლუჩანო მოჯისა და მსაჯებს. კერძოდ, შესამოწმებელია ხმები, რომ მოჯი „ბებერი ქალბატონის“ თამაშებზე მისთვის სასურველ არბიტრებს ანიშნინებს.

ყველაფერი „გაძეტა დელო სპორტისა“ და „კორიერე დელა სერას“ იმ პუბლიკაციებიდან დაიწყო, რომლებშიც მოყვანილი იყო 2004 წლის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, სადაც მოჯი ფედერაციის მსაჯთა განყოფილების შეფს, პიერლუიჯი პაირეტოს „მილანსა“ და „მესინასთან“ ამხანაგურ თამაშებში კონკრეტული არბიტრების დანიშვნას სთხოვდა. გარდა ამისა, მოჯი პაირეტოს ეკითხება უეფას სამსაჯო კომიტეტის უფროსის ვინაობას, რათა მისგან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის არბიტრის ვინაობა შეიტყოს. საუბარია „იურგორდენთან“ თამაშზე.

როგორც ირკვევა გამოძიებამ პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ მარტში გადადგა, როდესაც ფედერაციამ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები ტურინის პროკურატურიდან მიიღო.

„ჩვენ, „იუვენტუსში“ პრესასთან დუმილის პერიოდი გვაქვს გამოცხადებული — თქვა მოჯიმ და მოკლედ დასძინა — ყველაფერი კარგადაა“.

პაირეტოს კომენტარი კი უფრო ვრცელი გახლდათ: „სამწუხაროა, როდესაც კითხულობ ისეთ რამეს, რასაც ამბისთვის სხვა ელფერის მიცემა შეუძლია. წლების მანძილზე უამრავი კლუბის ხელმძღვანელთან მქონია სატელეფონო თუ ისე საუბარი. რაც შეეხებათ მსაჯებს, მე მათ ყოველთვის ვიცავ“.

შეგახსენებთ, რომ არსებობს ჭორები, თითქოს მოჯი ამ ზაფხულს „იუვენტუსიდან“ მიდის და მის ადგილს „რომას“ ყოფილი გენერალური დირექტორი ფაბიო ბალდინი დაიკავებს.

**პაპუნა ძიდია**



ლუის არაგონესი

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა გუშინ სანაკრებოდ 27 კაცი გამოიძახა და შეკრება ზეგ, ორშაბათს დაიწყება. ერთი თვის წინ სამსოფლიოსჩემპიონატოდ არაგონესმა 33 ფეხბურთელს უხმო, გაცხრილვის შემდეგ კი ექვსი მოაკლო. ესპანელები მუნდიალამდე სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 27 მაისს — ალბასეტეში რუსეთთან, 3 ივნისს — ელჩეში ეგვიპტესთან და 8 ივნისს — შვეიცარიაში ხორვატიასთან.

